პატრონიანი ძუ ძაღლების უფასო სტერილიზაცია

📍 **სამცხეჯავახეთი•რაჭალეჩხუმი • ქვემო სვანეთი**

🐾 რატომ უნდა გავასტერილოთ ძაღლი?

- **ჯანმრთელობის:** ხდება ისეთი მძიმე დაავადებების პრევენცია, როგორიცაა პიომეტრა, საშვილოსნოს სიმსივნეები, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები და ცრუ ორსულობა. მკვეთრად მცირდება სარძევე ჯირკვლების სიმსივნის რისკი.
- **ქცევის კორექცია:** მცირდება სახლიდან გაქცევის, ტერიტორიის მონიშვნისა და სხვა ძაღლებთან ჩხუბის ალბათობა.
- **პოპულაციის ჰუმანური მენეჯმენტი**: ძაღლების სტერილიზაცია მსოფლიო მასშტაბით პოპულაციის მენეჯმენტის ყველაზე ჰუმანურ მეთოდად მიიჩნევა, რადგან მიუსაფარი ძაღლების უმრავლესობა სწორედ პატრონიანი ძაღლებიდან მოდის. ძაღლებში გამრავლება ხდება მხოლოდ ინსტინქტურ დონეზე და ხშირად დიდ სტრესთანაცაა დაკავშირებული.
- **მითების მსხვრევა:** შეხედულება, თითქოს „ძაღლმა ერთხელ მაინც უნდა გააჩინოს ლეკვები ჯანმრთელობისთვის“, მცდარია და მეცინიერულად დადასტურებული.

🩺 როგორ მიმდინარეობს პროცედურა?

- **ასაკი:** ოპერაცია შესაძლებელია 4 თვის ასაკიდან (სასურველია სქესობრივ მომწიფებამდე, თუმცა ეფექტურია ნებისმიერ ასაკში).
- **უსაფრთხოება:** პროცედურას ატარებენ მაღალკვალიფიციური ვეტერინარი ქირურგები.
- **ნულოვანი ტკივილი:** ოპერაცია არის გეგმიური, მოკლევადიანი და ტარდება სრული ანესთეზიის (ნარკოზის) ქვეშ.
- **სწრაფი რეაბილიტაცია:** ცხოველი იღვიძებს ოპერაციიდან მალევე და იმავე დღეს უბრუნდება ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

იდენტიფიკაცია & რეგისტრაცია (სავალდებულო 2027 წლიდან)

სტერილიზაციასთან ერთად, ცხოველს უტარდება სრულიად უფასო რეგისტრაცია:

- **მიკროჩიპი:** ცხოველის კანქვეშ თავსდება მიკროჩიპი უნიკალური ნომრით, რომელიც რეგისტრირდება საქართველოს ერთიან ბაზაში მეპატრონის სახელზე.
- **დაკარგვის პრევენცია:** ჩიპის საშუალებით, ძაღლის დაკარგვის შემთხვევაში, მარტივად ხდება მეპატრონის ვინაობის დადგენა და ცხოველის სახლში დაბრუნება.
- **მნიშვნელოვანი ინფორმაცია:** მიკროჩიპს არ აქვს GPS (ლოკაციის თვალთვალის) ფუნქცია, რადგან მას არ გააჩნია ელემენტის კვება.

⚠️ **ადგილები შეზღუდულია! არ გაუშვათ ეს შესაძლებლობა ხელიდან!**

როგორ ვისარგებლოთ უფასო პროგრამით?

1. ტელეფონის კამერის მეშვეობით, დაასკანერეთ მოცემული QR კოდი სარეგისტრაციო ფორმაზე გადასასვლელად.

2. ან ეწვიეთ Mayhew Georgia-ს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდს, სადაც განთავსებულია სარეგისტრაციო ლინკი.

რეგისტრაციის შემდეგ, ჩვენი გუნდი დაგიკავშირდებათ და შეგატყობინებთ ვიზიტის ზუსტ გრაფიკს, დროსა და ადგილს!

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ:
Facebook: Mayhew Georgia | Email: info@mayhewgeorgia.org

mayhew
georgia





მეიჰიუ
საქართველო